სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის N2 და ირაკლი ბაზაძის სახელობის სოფელ მახათაურის საჯარო სკოლებში

მარიამ ცერცვაძე

ელენე წიქარიშვილი

სალომე სამყურაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჟანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: მარიკა კირვალიძე, განათლების დოქტორი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

მარიამ ცერცვაძე, ელენე წიქარიშვილი, სალომე სამყურაშვილი

თარიღი: 16. 06. 2024

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განვახორციელეთ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 და ირაკლი ბაზაძის სახელობის სოფელ მახათაურის საჯარო სკოლებში, სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის კუთხით, სამიზნე სკოლებში არსებული რეალობის დადგენა; სკოლის პროფილის გათვალისწინებით, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო მექანიზმების შექმნა და აღნიშნული მექანიზმების დანერგვისათვის გამოსადეგი რეკომენდაციების შემუშავება.

პრაქტიკის კვლევის განხორციელების პროცესში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, ჩაღრმავებული ნახევრდასტრუქტურირებული ინდივიდუალური ინტერვიუები სკოლების დირექციის წარმომადგენლებთან, ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან, ფოკუს ჯგუფი ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებთან, დოკუმენტაციის ანალიზი. დასახელებული ინსტრუმენტების საშუალებით დავადგინეთ, რომ სამიზნე სკოლებს არ ჰქონდათ სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც იყო ციკლური ხასიათის და ხელს უწყობდა მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და საპასუხო ქმედებების განხორციელების სისტემურობას. ხარისხის მართვის მსგავსი მექანიზმის არ არსებობა აიხსნებოდა იმით, რომ სკოლის წარმომადგენლებს არ/ან ნაკლებად ჰქონდათ კომპეტენცია ხარისხის მართვის საკითხების შესახებ, სასკოლო პროცესების განხორციელების დროს ფუნქცია-მოვალეობები არ იყო დანაწილებული, მასწავლებლებს უჭირდათ იმ პროცესების დასახელება და აღწერა, რომელსაც კონკრეტული პრობლემის აღმოჩენიდან მის მოგვარებამდე გადიოდნენ. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შევიმუშავეთ ინტერვენციის გეგმა და გამოვყავით სამი თანმიმდევრული ნაბიჯი: 1) სამიზნე ჯგუფს, ტრენინგის სახით,

მივაწოდეთ ინფორმაცია სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის შესახებ; 2) ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის გასააზრებლად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად ჩავატარეთ სამუშაო შეხვედრების ციკლი და 3) სასწავლო პროცესის ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში დავიწყეთ ცვლილებების შეტანა. ინტერვენციების მიზანი იყო ხარისხის მართვის საკითხების შესახებ კომპეტენციის გაზრდა - თეორიული ცოდნის გადაცემა ხარისხის მართვის შესახებ; ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას უზრუნველყოფდა და, სამომავლო მდგრადობისათვის, შესაბამისი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ინტერვენციის შესაფასებლად გამოვიყენეთ: ჩაღრმავებული ნახევრადსტრუქტურირებული ინდივიდუალური ინტერვიუები სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან, ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან და დოკუმენტაციის ანალიზი. ინტერვენციის შედეგად, სასკოლო საზოგადოების წევრებმა გაიღრმავეს თეორიული ცოდნა სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის შესახებ; დაიწყეს იმ უნარ-ჩვევების განვითარება/ჩამოყალიბება, რომელიც ხარისხთან დაკავშირებული პროცესების დასაგეგმად და განსახორციელებლად სჭირდებათ; გაიაზრეს საკუთარი პასუხისმგებლობა და ჩამოუყალიბდათ დამოკიდებულება, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანობის სამომავლოდ გაგრძელებას.

მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და მდგრადობისათვის სასურველია, რომ სამიზნე სკოლებმა მომდევნო სასწავლო წლიდან აქტიურად დაიწყონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, გადატანა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხარისხი, მექანიზმი, ციკლურობა.

Abstract

The given MA thesis refers to a report of a practice study that we implemented in the Sachkhere public school N2 named after Ilia Chavchavadze and Makhatauri village school named after Irakli Bazadze, in order to improve the quality management mechanisms of the educational process.

The purpose of our research was to determine the reality in the target schools in terms of quality management of the educational process, considering the profile of the school, creating necessary mechanisms for improving the quality of teaching and learning, and developing useful recommendations for the implementation of these mechanisms.

In the process of implementing practice research, we used qualitative research methods. In particular, we conducted in-depth semi-structured individual interviews with representatives of school management, focus groups with teachers and members of the quality management group, and analysis of documentation. Through these tools, we determined that the target schools did not have a cyclic mechanism for managing the quality of the learning process, which would facilitate systematic data collection, evaluation, and implementation of response actions. The lack of such a quality management mechanism was explained by the fact that school representatives had little to no competence in quality management issues, functions and duties were not clearly divided during the implementation of school processes, and teachers found it difficult to name and describe the processes they went through from problem identification to solution.

To improve the current situation, we developed an intervention plan with three consecutive steps: 1) We provided the target group with training on quality management of the educational process; 2) We held a cycle of workshops to understand and apply the information received during the training; and 3) We initiated changes in the documentation related to the quality management of the educational process. The goal of the interventions

was to increase competence in quality management issues by transferring theoretical knowledge, developing skills to ensure the application of this knowledge in practice, and fostering appropriate attitudes for future sustainability.

To evaluate the intervention, we used in-depth semi-structured individual interviews with school management representatives, focus groups with teachers, and document analysis. As a result of the intervention, members of the school community deepened their theoretical knowledge about the quality of the educational process, began to develop skills needed to plan and implement quality processes, and understood their own responsibility, forming attitudes that will help continue their activities in the future.

For the improvement and sustainability of the obtained results, it is desirable that the target schools actively start applying theoretical knowledge to practice from the next academic year.

Main search words: quality, mechanism, cyclicity.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლიკა გომართელსა და ირაკლი ბაზაძის სახელობის სოფელ მახათაურის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო მოდებაძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით შპს ,,ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრს, ქალბატონ მაკა მამფორიას ინტერვენციების ეტაპის დროს გაწეული დახმარებისათვის, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ციკლის წარმართვისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს , ქალბატონ სოფიკო ლობჟანიძეს და თანახელმძღვანელს, ქალბატონ მარიკა კირვალიძეს მხარდაჭერისთვის, ეფექტური კომუნიკაციისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის გაზიარებისათვის.